თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N3

26 იანვარი, 2018 წელი
ქ.თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების თაობაზე

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუხლი 1.

შეთანხმდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დამხმარე ფუნქციების შესრულების მიზნით 34% და არამუდმივ ამოცანათა შესრულების მიზნით 11%.

მუხლი 2.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქუჩა №11), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე